ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N21
21 აგვისტო 2025 წ.

დაბა ლენტეხი

,,2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ'', და ,,დ.ე'' ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4-ე პუნქტისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 18 აგვისტოს N96-962523027 მომართვის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ,,2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N18 (www.matsne.gov.ge 010260020.35.115.016421 01/01/2025 წ.) დადგენილებით დამტკიცებულ დანართი N-1-ში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით (დანართი N1 თან ერთვის).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი გაზდელიანი